

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ.ვანი თავისუფლების N65

18 სექტემბერი 2019 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - **გვანცა სიგუა**.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დირექტორი - **ლელა ადეიშვილი**.

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-ს დირექტორი - **ნანა ლილუაშვილი**.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი- **ზვიად მინაშვილი**.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი- **გიგა ბუაძე**.

ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების დირექტორი - **კოტე გურგენიძე**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე** .

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ -ების მიერ I ნახევარში ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოხმენა.

მომხს: ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის შედგენა.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ -ების მიერ I ნახევარში ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შეიქმნა 2007 წლის 05 თებერვალს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N22 დადგენილებით.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

გაერთიანების 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 1280,0 ათას ლარს, ხოლო დაზუსტებული 1323,0 ათას ლარს შეადგენს. აქედან შრომის ანაზღაურება 1024,3 ათასი ლარია, მივლინება 0.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი 81,4 ათას ლარი, კვების ხარჯი 700 ალდაზრდელზე 204,8 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯი შესადგენს 3.0 ათას ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა 9.0 ათას ლარს.

გაერთიანების დასაქმებულთა რიცხოვნება 2019 წლის სამტატო ნუსხით 265 შეადგენს.

კომისიის წევრებმა დასვეს კითხვა: რამდენი საბავშვო ბაღი დაემატა ს/ბაღების გაერთიანებას?

მომხსენებელმა აღნიშნა ,რომ 2019-2020 წლის სასწვლო წლისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ს/ბაღების გაერთიანებას 2 საბავშვო ბაღი დაემატა. ძულუხისა და მიქელეფონის საჯარო სკოლაში ს/ბაღებისათვის გამოიყო ფართი. გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ძულუხის ს/ბაღისათვის 64, 315 ლ ღირებულების, ხოლო მიქელეფონის ს/ბაღებისათვის 40,129ლ.

კომისიის თავმჯდომარის ხრიდან დაისვა კითხვა: საბავშვო ბაღებში სასმელი წყალი თუ არის შემოწმებული შესაბამისი სამსახურის მიერ.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ წელიწადში ორჯერ ყველა საბავშვო ბაღში, სასმელი წყალი მოწმდება სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ, ხოლო დანარჩენ პერიოდში წყალში ვყრით ისეთ ფხვნილებს, რომელიც წყალს წმენდს და ასუფთავებს მავნე ბაქტერიებისაგან.

კომისიის მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

/დანართიN2/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ლელა ადეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის I ნახევარში ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 375 000 ლარს, გეგმის შესრულებლის მაჩვენებელია 68,1 %.

რაც შეეხება პრობლემებს, რომელსაც გვერდი არ აევლება კულტურის ცენტრი საქიროებს სარემონტო სამუშაოებს, სველი წერტილებისა და საგრიმიორო ოთახების მოწესრიგებას, კულტურის ცენტრი არ არის გათბობა.

კომიის თავმჯდომარე აღნიშნა, რომ ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ აღნიშნულ პრობლემებს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურთან ერთად.

/დანართიN3/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნანა ლილუაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-ს I ნახევარში ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1-ლი 6 თვის ხარჯი ხელფასების მხრვის შეადგენს 22 000 ლარს, მივლინება ქვენის გარეთ 5371.84 ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 1179 ლარი, არაფინანსური აქტივები 1204 (პერსონალური კომპიუტერი), საავტომობილო საწვავის ხარჯი 935.4 ლარი, ინტერნეტი 300 ლარი, კომუნალური ხარჯი 132.22 ლარი, ფოტოსესია, გიფ ფოტო 2,169.2 საოფისე ტექნიკა, საოფისე ინვენტარი, 3237.59 ლარი. სულ ჯამი შეადგენს 36,529.25 ლარი. რაც შეეხება მე-4 კვარტალს სულ ხელფასების ჯამი შეადგენს 14 000 ლარს, მივლინება 400 ლარი, ოფისის ხარჯი 3870 ლარი, ტრანპორტის ხარჯი 500 ლარი, სხვა დანარჩენი მომსახურეობა 2 400 ლარი, არაფინანსური აქტივის შეძენა 1 336, სულ ჯამი 22, 506 ლარი.

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესაქიროება ინგლისური ენის სპეციალისტი, ინგლისური ენა უნდა იცოდეს თარჯიმნის დონეზე.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

/დანართიN4/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად მინაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებაში ფუნქციონირებს ჭიდაობის, ძიუდოს, მძლეოსნობის, კალაბურთის, ჭადრაკის და საბრძოლო ხელოვნების სექციები. გაერთიანების 2019 წლის ბიუჯეტი თავდაპირველი სახით განისაზღვრა 365,0 ათასი ლარის ოსდენობით, საშტატო რიცხოვნობა კი 62 ერთეულს შეადგენდა. 2019

წლის მარტის თვეში განხორციელებული ცვლილებებით ბავშვთა ფეხბურთი გამოეყო გაერთიანებას და ასიგნებებიც შემცირდა 95,0 ათასი ლარით, ბიუჯეტი ჩამოყალიბდა 270,0 ათასი ლარის, ხოლო საშტატო რიცხოვნობა 38 ერთეულით.

კომისიის წევრებმა განიხილეს და მოისმინეს წარმოდგენილი საკითხი.

/დანართიN5/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ინფორმაცია ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ 2019 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 69000 ლარს, რომელიც 4000 ლარით მეტია 2018 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამებით განსაზღვრულ დაფინანსებაზე.

„ცენტრში“ დასაქმებულია თორმეტი თანამშრომელი.

სახელფასო ფონდი შეადგენს 62160 ლარს, ხოლო 6840 ლარი განსაზღვრულია დაწესებულებისათვის საჭირო სამეურნეო და საოფისე ხარჯისათვის.

კომისიის წევრებმა განიხილეს და მოისმინეს წარმოდგენილი საკითხი.

/დანართიN6/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კოტე გურგენიძემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების ანგარიში.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ 2019 წელს 6 თვეში გამოყოფილი ჰქონდა ბიუჯეტიდან სუბსიდია 218,4 ათასი ლარი. რაც გახარჯული იქნა:

მათ შორის - შრომითი ანაზღაურება -161,1 ათასი ლარი.

ტრანსპორტის ხარჯი-40,6 ათასი ლარი

მ.შორის საწვავი - 30,4 ათასი ლარი (დიზელის საწვავი 13 000, ბენზინი 1 200 ლიტრი)

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილი საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

/დანართიN7/

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენელის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე